

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 9

11 სექტემბერი 2008 წელი

ქ. ბათუმი

საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია

საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის
შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი

ინსტრუქცია

საარჩევნო ადმინისტრაცია (უსკო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იხილავენ განცხადება/საჩივარს და კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მუხლი 1. განცხადება/საჩივრის რეგისტრაცია.

საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარი შეტანილად ითვლება შესაბამის საარჩევნო კომისიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემასა და რეგისტრაციას ახორციელებს სამუშაო დღის 18 საათამდე.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რეგლამენტების შესაბამისად კომისიებში განცხადება/საჩივარის მიღებაზე და სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელია შესაბამისი კომისიის მდივანი, ხოლო უსკოში, რეგლამენტის შესაბამისად – **საერთო სამსახური**.

განცხადება/საჩივარი საარჩევნო კომისიაში მიღებისას დაუყოვნებლივ ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც უწყვეტი თანმიმდევრობით აღირიცხება მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. თითოეულ დოკუმენტს მიენიჭება შესაბამისი ნომერი (კოდი), ჟურნალში შეიტანება მისი შემოსვლის თარიღი, დრო და ფურცლების რაოდენობა. სარეგისტრაციო ჟურნალში აღინიშნება განმცხადებლის/მოძივანის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი. ჟურნალში სათანადოდ რეგისტრაციის შემდეგ განმცხადებელს/მოძივანს გადაეცემა წერილობითი ცნობა, რომელშიც მიეთითება განცხადების/საჩივრის მიღების თარიღი და ზუსტი დრო, ასევე სარეგისტრაციო ჟურნალში მისთვის მინიჭებული ნომერი (კოდი). აღნიშნულ ცნობას განცხადების/საჩივრის მიმღები კომისიის თანამშრომელი ადასტურებს ხელმოწერითა და ბეჭდით.

მუხლი 2. გასაჩივრება.

საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და მხოლოდ ამის შემდგომ-სასამართლოში.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გასაჩივრების ვადა და წესი, განცხადების/საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა, ასევე მოსარჩელეთა წრე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თუ საარჩევნო კოდექსით და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80¹ მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში შეტანილი განცხადება/სარჩელი/საჩივარი განუხილველი რჩება.


აკრძალულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადების გაგრძელება, თუ საარჩევნო კოდექსით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

სასამართლოში დავის განხილვისას მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-17 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 3. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება.


საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. რაიონული/საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უსკოში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება.




მუხლი 4. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება.

საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში (გამონაკლისია საოლქო საარჩევნო კომისიის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად საჩივრდება პირდაპირ სასამართლოში), რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. უმაღლესი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



მუხლი 5. უსკოს გადაწყვეტილების გასაჩივრება.

უსკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამისად საოლქო/უმაღლეს საარჩევნო კომისიას სარჩელის/საჩივრის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ - გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მხარეებს.

მუხლი 6. განცხადებები და საჩივრები კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე.

განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურების დარღვევის შესახებ შედგენილ უნდა იქნეს საარჩევნო კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე. კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

განცხადებაში (საჩივარში) აღინიშნება:

- ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის დრო და თარიღი;
- ბ) განმცხადებლის (მომჩინის) სახელი, გვარი და მისამართი;
- გ) საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;
- დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- ე) მოწმის არსებობის შემთხვევაში მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი;
- ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;
- ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

განცხადება/საჩივარი კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ საარჩევნო ყუთის გახსნამდე უნდა გადაეცეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს მას ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განმცხადებელს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.


საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. თუ კომისიის თავმჯდომარემ არ ან ვერ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირებაზე, განმცხადებელს/მომჩივანს, ხოლო უფლებამოსილი ორგანიზაციის, პარტიის/საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში-ასევე მის წარმომადგენელს, უფლება აქვს ანალოგიური განცხადება/საჩივარი დაუყოვნებლივ წარუდგინოს ზემდგომ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია აღნიშნული საჩივრების განხილვისას იმსჯელოს შესაბამისი უბნის ბათილობის საკითხის შესახებ.

განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილ უნდა იქნეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე და მასში უნდა მიეთითოს:

- ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;
- ბ) განმცხადებლის (მომჩივნის) გვარი, სახელი და მისამართი;
- გ) საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;
- დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- ე) მოწმის (თუ არის) გვარი, სახელი და მისამართი;
- ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;
- ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (თუ არის);
- თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანში კენჭისყრის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება ჩანაწერთა წიგნში და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათამდე, ხოლო თუ შედეგების შეჯამება ამ დროისთვის დასრულებული არ იქნება, -შემაჯამებელი ოქმის შედგენის მომდევნო დღის 18 საათამდე. განცხადება/საჩივარი ამავე ვადაში შეიძლება გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.

ზემოაღნიშნული დარღვევების შესახებ შედგენილი განცხადება/საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში მიღებისთანავე საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება საოლქო საარჩევნო კომისიის ჟურნალში. კომისია მას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის რეგისტრაციიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.



თუ დარღვეულია კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი ინფორმაციის წარდგენის წესი და ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნის თაობაზე საქართველოს საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“

ქვეპუნქტებით დადგენილი ინფორმაციის წარდგენის წესი, საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის მიმღები შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებულია განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგინოს ხარვეზი და განუსაზღვროს გონივრული ვადა მის გამოსასწორებლად, რის შესახებაც კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი, რომელსაც ხელს აწერენ განცხადების/საჩივრის წარმდგენი და შესაბამისი თანამდებობის პირი. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში შესაბამისი საარჩევნო კომისია განცხადება/საჩივარს არ განიხილავს, რის თაობაზეც გამოსცემს განკარგულებას.

განცხადება/საჩივარი, რომელიც წარდგენილია ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურების დარღვევით, კომისიის მიერ (ხარვეზის დაუდგენლად) არ განიხილება, თუ:

1. განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურების დარღვევის შესახებ არ არის შედგენილი საარჩევნო კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე;
2. არ არის მითითებული დარღვევის არსი და მისი ჩაღენის დრო;
3. განცხადება/საჩივარი კენჭისყრის პროცედურის დროს ჩაღენილი დარღვევის შესახებ საარჩევნო ყუთის გახსნამდე არ არის გადაცემული საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მის მოადგილისა ან კომისიის მდივანისთვის, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს მას ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განმცხადებელს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.
4. თუ განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩაღენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანის მიერ არ არის რეგისტრირებული ჩანაწერთა წიგნში და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ არ არის გადაცემული ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიისთვის კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათამდე, ხოლო თუ შედეგების შეჯამება ამ დროისთვის დასრულებული არ იქნება,-შემაჯამებელი ოქმის შედგენის მომდევნო დღის 18 საათამდე”

მუხლი 7. ვიდეოთვალი.

არჩევნების პროცესში დარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვიდეოდაკვირვების და ჩაწერის საშუალებები, ე.წ. ვიდეოთვალი. ვიდეოთვალის ჩანაწერის მონაცემები არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისას საუბნო საარჩევნო კომისიაში განთავსებული ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის მოთხოვნა შეუძლია საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირს, რომელიც ვალდებულია, წარდგენილ განცხადებაში/საჩივარში მიუთითოს ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის მოთხოვნისა და დარღვევის დაფიქსირების ზუსტი დროის თაობაზე. აღნიშნული განცხადების/საჩივრის წარმდგენს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ 15-წუთიანი ინტერვალის ჩანაწერის გაცნობა კონკრეტული დროის და დარღვევის მითითებით. განცხადება/საჩივარი ვიდეოთვალის

ჩანაწერის გაცნობის მოთხოვნაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ განუხილველი დარჩება, თუ განცხადება/საჩივარი არ იქნება წარმდგენილი ზემოაღნიშნული წესით. განცხადების/საჩივრის წარმდგენ პირს ვიდეოთვალის ჩანაწერის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემა მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის განხილვისას, აგრეთვე სასამართლოში დავის განხილვის შემთხვევაში.

მუხლი 8. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, მათი შეღვემის წესი, ფორმა და სასამართლოში განსახილველად გადაგზავნა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი დგება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შემდეგი მუხლების მოთხოვნათა დარღვევის გამო:

- 174³ მუხლი – საარჩევნო კომისიაში მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლემბისციტის ჩატარების დროს, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე;
- 174⁴ მუხლი – საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლემბისციტო კომისიებისათვის საჭირო მასალების და მონაცემების წარდგენაზე უარის თქმა, ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, - გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე;
- 174⁵ მუხლი – აგიტაციის გაწევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლემბისციტის დღეს, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე;
- 174⁶ მუხლი – წინასაარჩევნო აგიტაციის ან ხმის მიცემისთვის გამოყოფილ ადგილებში იარაღით მისვლა, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე;
- 174⁸ მუხლი – წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღება. წინასაარჩევნო აგიტაციაში იმ თანამდებობის პირების მონაწილეობა, რომლებსაც ეს ეკრძალებათ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1500-დან 2000 ლარამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას;
- 174⁹ მუხლი – წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა, - გამოიწვევს მოქალაქის დაჯარიმებას 800-დან 1000 ლარამდე, ხოლო თანამდებობის პირთა – 800-დან 1200 ლარამდე, ან პატიმრობას ვადით ოცდაათ დღემდე;
- 174¹⁰ მუხლი – საარჩევნო კამპანიის ჩატარება ამ საქმიანობისათვის აკრძალულ დაწესებულებებში, რომლებიც აკრძალულია საქართველოს ორგანული კანონით

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1500-დან 2000 ლარამდე;

- 174¹¹ მუხლი – არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1200-დან 1500 ლარამდე;

- 174¹² მუხლი – პოლიტიკური რეკლამის კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევით განთავსება, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” მოთხოვნათა დარღვევით, - გამოიწვევს ტელეკომპანიების დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე, რადიოკომპანიების დაჯარიმებას 700-დან 1000 ლარამდე და გაზეთების დაჯარიმებას 400-დან 500 ლარამდე. იგივე ქმედება ცადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის ზომების გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში, - გამოიწვევს ტელეკომპანიების დაჯარიმებას 3 000-დან 5 000 ლარამდე, რადიოკომპანიების დაჯარიმებას 2 000-დან 3 000 ლარამდე და გაზეთების დაჯარიმებას 1 000-დან 1 500 ლარამდე;

- 174¹³ მუხლი – საარჩევნო კამპანიის ფორნდში ან მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღება ან/და შემოწირულობის თაობაზე ინფორმაციის დამალვა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000-დან 1 500 ლარამდე. იგივე ქმედება ჩადენილი იმ პოლიტიკური გაერთიანებების მიერ, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, გამოიწვევს მათ დაჯარიმებას დამალული თანხის ხუთმაგი ოდენობით;

- 174¹⁴ მუხლი – საარჩევნო კამპანიის ფონდის, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანების ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა, - გამოიწვევს საარჩევნო კამპანიის ფონდის განმკარგველი პირის დაჯარიმებას 1 000-დან 1 500 ლარამდე. იგივე ქმედება ჩადენილი იმ პოლიტიკური გაერთიანებების მიერ, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, გამოიწვევს სახელმწიფო დაფინანსების შეჩერებას.

- ასევე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 78 მუხლის - საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება რომელიმე პარტიის, (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება: სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო და/ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის ან მათ საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ მათი იმავე პირობებით გამოყენების უფლება, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი ღონისძიებები

ა) მისი საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნის ღონისძიება სასამართლოში შესაბამისი სარჩელის კენჭისყრამდე წარდგენისას, ბ) იმავე სახის მომდევნო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის აკრძალვის ღონისძიება სასამართლოში შესაბამისი სარჩელის არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში წარდგენისას;

- ასევე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 78 მუხლი – საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონეების მიერ პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პარტიის, (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაშიც იგულისხმება:

- ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

- ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა;

- გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამსახურებრივი ფუნქციის შესრულებისას, - გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი ღონისძიებები ა) მისი საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნის ღონისძიება სასამართლოში შესაბამისი სარჩელის კენჭისყრამდე წარდგენისას, ბ) იმავე სახის მომდევნო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის აკრძალვის ღონისძიება სასამართლოში შესაბამისი სარჩელის არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში წარდგენისას;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და მისდამი დაქვემდებარებულ საარჩევნო კომისიებს (ცესკოს 2008 წლის 30 მარტის №152/2008 განკარგულება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 239-ე მუხლის 24-ე პუნქტი).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი

ქ. -----

“-----” “-----” 200--- წ.

(ოქმის შედგენის თარიღი)

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შემდგენი

(დაწესებულება, შემდგენის სახელი, გვარი, თანამდებობა)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 24-ე ნაწილის დაცვით -----

(ოქმის შედგენის ადგილი)

შევაღვინე ეს ოქმი მასზედ, რომ -----
----- (დამრღვევი ფიზიკური (იურიდიული) პირი)

(სახელი, გვარი, მამის სახელი, მისამართი, პირადობის მიწმობის ნომერი (აგრეთვე მისაღება პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთი, რომელიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით), იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, იურიდიული მისამართი, მისი ხელმძღვანელის მონაცემები).

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)

რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174², 174³, 174⁴,174⁵,174⁶, 174⁹, 174¹⁰, 174¹¹, 174¹², 174¹³, 174¹⁴. მუხლებით (ხაზი გაუსვით შესაბამის მუხლს).

2. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174², 174³, 174⁴,174⁵,174⁶, 174⁹, 174¹⁰, 174¹¹, 174¹², 174¹³, 174¹⁴ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესახებ პასუხისმგებლობა

- და იმავე კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები:

“ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამ-დგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგი-ლისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე”.

3. სამართალდამრღვევის -----

(სახელი, გვარი, მამის სახელი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება და მისი ხელმძღვანელის მონაცემები)

ახსნა-განმარტება: -----

4. დამატებით, საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მტკიცებულებები, ცნობები და მონაცემები

5. ყოველივე ზემოაღნიშნულზე შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

ოქმი შევადგინე -----

(შემდგენის ხელმოწერა)

ოქმს გავვეცანი და მივიღე ოქმის ასლი -----

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)
მოწმებისა და დაზარალებულის ხელმოწერა -----

(თუ ისინი არიან – სახელი, გვარი, მამის სახელი, პირადობის მოწმობის ნომერი (აგრეთვე მისაღებია პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთი, რომელიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით) და ხელმოწერა, იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, იურიდიული მისამართი, მისი ხელმძღვანელის მონაცემები).

6. ოქმის შედგენი პირის აღნიშვნა, თუ სამართალდამრღვევა უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერასა და ასლის ჩაბარებაზე -----

7. ოქმზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში) -----

სამართალდამრღვევის ჩამდენს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები -----

შედგენილი ოქმი დაუყოვნებლივ გადაეგზავნება სასამართლოს („საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 241-ე მუხლი), რომელიც ოქმს იხილავს 15 დღის ვადაში (262-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სასამართლოს გადაწყვეტილება დაჯარიმების შესახებ შეიძლება გაგადაისინჯოს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარესთან (279-ე მუხლი) 10 დღის ვადაში (273-ე მუხლი). ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



მუხლი 9. კომისიის სხდომა

უმაღლეს საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს საარჩევნო კოდექსით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, რომელსაც დადგენილებით იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.

საარჩევნო კომისიის სხდომებისათვის დღის წესრიგს ამზადებს კომისიის მდივანი. საარჩევნო კომისიის მდივანი სხდომის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრავს განცხადებას სხდომის ზუსტი დროისა და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით, უსკოს სხდომის დღის წესრიგი კი დამატებით განთავსდება უსკოს ვებ-საიტზე, სხდომაზე განსახილველ საკითხთა მითითებით.

კომისიის წევრებს წინასწარ ეცნობებათ სხდომის მოწვევის შესახებ დღის წესრიგში შეტანილი საკითხების მითითებით და მათ წინასწარ ურიგდებათ დღის წესრიგის მასალები (მათ შორის შემოსული განცხადებები/საჩივრები).

კომისიის სხდომას, საარჩევნო ადმინისტრაციის გარდა, შეიძლება ესწრებოდნენ კონკრეტული საკითხების განხილვის დროს დაინტერესებული მხარეები, რომლებიც საკითხის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე ტოვებენ სხდომის დარბაზს.

კომისიის სხდომაზე მხარეებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ სიტყვით გამოვიდნენ კომისიის თავმჯდომარის თანხმობითა და მის მიერ განსაზღვრული დროით, კომისიის წევრების შემდეგ.

კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა (თუ საარჩევნო კანონით უფრო მაღალი კვორუმი არაა დადგენილი), მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

მუხლი 10. საჯაროობა.

არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესი საჯაროა. საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე საარჩევნო კომისიების საქმიანობა ხორციელდება ღიად და საჯაროდ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტებისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესასრულებლად საარჩევნო ადმინისტრაციებში მუდმივად მიმდინარეობს შემოსული განცხადებების/საჩივრების და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და ანალიზი.

საარჩევნო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს, ხოლო ასლების მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ შეიძლება დაწესდეს საფასური ასლების გადაღებისათვის საჭირო თანხის ოდენობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. საჩივრის განხილვის პირობები და წესი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომაზე საჩივრის განხილვისათვის შეიძლება მოწვეულ იქნენ მხარეები.

თუ საჩივრის ავტორი საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელია, საჩივრის განხილვის დროსა და ადგილის თაობაზე ეცნობება ამ ორგანიზაციის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ დამკვირვებელს ან ამ ორგანიზაციას.

თუ საჩივრის ავტორი საარჩევნო სუბიექტი ან მისი დანიშნული წარმომადგენელია, საჩივრის განხილვის დროსა და ადგილის თაობაზე, ეცნობება ამ სუბიექტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ წარმომადგენელს.

თუ საჩივრის ავტორი საარჩევნო კომისიის წევრია, საჩივრის განხილვის თაობაზე უნდა ეცნობოს პირადად მას.

მხარეები საჩივრის განხილვისას, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით მოთხოვნილი საჩივრის განხილვის ვადების დაცვის მიზნით, შეიძლება დაბარებულ იქნენ წერილობით, ასევე ტელეფონით (მათ შორის მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით); ელექტრონული ფოსტით; დეპეშით; ფაქსით და სხვა ტექნიკური საშუალებით.

მხარის გამოუცხადებლობა არ ქმნის საჩივრის განხილვის გადადების საფუძველს.

მხარეს რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, სხდომის დაწყების წინ უნდა გადაეცეს მისი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები და ასლები.

მხარეს უფლება აქვს, უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში.

მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში, მისი მოთხოვნის შემთხვევაში საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება (გარდა კომისიის სხდომის ოქმისა) უნდა ჩაბარდეს ამ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღის 12 საათამდე, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის ვადების გათვალისწინებით.

მხარეს რომელიც შეტყობინების მიუხედავად არ გამოცხადდა საჩივრის განხილვაზე, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება წერილობით.

მხარის მიერ საჩივრის განხილვის დროს კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი დოკუმენტის მისთვის ჩაბარების თარიღი არ წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის ვადის ათვლის საფუძველს.

კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო კომისია ვალდებულია მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითოს მხარეს, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა; ადგილი დაწესებულების დასახელება და მისამართი სადაც შეიძლება მისი გასაჩივრება.